

შპს „სპექტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს "სპექტრი"

სარჩევი

მოგება-ზარალის ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
განმარტებითი შენიშვნები	6-14

შპს „სპექტრი“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი		17,045	84,373
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(16,848)	(65,480)
სულ შემოსავლები		196	18,893
მიწოდების ხარჯები		(17,147)	(22,573)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(613,988)	(423,167)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		3,399	1,369,897
წმინდა საკუროსო სხვაობა	6	(91,476)	38,269
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(49,286)	(37,540)
მოგება დაბეგვრამდე		(768,107)	962,673
მოგების გადასახადი		-	(2,866)
წმინდა მოგება		(768,107)	959,807

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი
ლამა ბაგრატიონი

შპს „სპექტრი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	2023	2022	2021
ფული და ფულის ექვივალენტები	7	198,557	139,916	31,681
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		46,228	47,238	-
მიღებული ავანსები		230,244	101,068	-
საგადასახადო აქტივები		961,039	329,831	1,150
გაცემული სესხები	8	849,422	417,473	-
მარაგები	9	7,563,696	2,824,311	-
ძირითადი საშუალებები	10	1,466,669	1,466,642	16,300
სულ აქტივები		11,315,854	5,326,479	49,131
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		455,028	455,028	-
გაუნაწილებელი მოგება		(236,629)	531,477	48,563
სულ კაპიტალი		218,398	986,505	48,563
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	7,368,853	2,003,736	568
მიღებული სესხები	12	3,728,603	2,336,238	-
სულ ვალდებულებები		11,097,456	4,339,974	568
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,315,854	5,326,479	49,131

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი
ლაშა ზაგრატიონი

შპს „სპექტრი“
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერ 2021	-	48,563	48,563
სულ წლის სრული შემოსავალი	-	959,807	959,807
დივიდენდის გაცემა	-	(476,893)	(476,893)
კაპიტალის ზრდა	455,028	-	455,028
ბალანსი 31 დეკემბერ 2022	455,028	531,477	986,505
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(768,107)	(768,107)
ბალანსი 31 დეკემბერ 2023	455,028	(236,629)	218,398

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი
ლამა ბაგრატიონი

შპს „სპექტრი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ლარში)

	2023	2022
მოგება მოგების გადასახადის მერე	(768,107)	959,807
ცვეთა და ამორტიზაცია	6,591	6,085
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	91,476	(38,269)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(670,039)	927,623
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:		
სავაჭო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	1,010	(47,238)
მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)	(129,176)	(101,068)
მარაგების ზრდა/(შემცირება)	(4,739,385)	(2,824,311)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა/(შემცირება)	(631,207)	(328,681)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	5,365,118	2,003,168
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(803,680)	(370,507)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ზრდა	(6,618)	(1,456,427)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	455,028
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,618)	(1,001,400)
სესხების აღება/გადახდა	1,300,888	2,336,238
გაცემული სესხების ზრდა/შემცირება	(431,949)	(379,204)
დივიდენდის გაცემა	-	(476,893)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	868,939	1,480,141
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	58,642	108,234
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	139,915	31,681
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	198,557	139,915

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი

ლაშა ზაგრატიონი

1. შესავალი

ზოგადი ინფორმაცია

შპს „სპექტრი“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1996 წლის 8 მარტს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204877838.

ძირითადი საქმიანობა. შპს „სპექტრის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შავიშვილის ქ., №3.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ნიუ გრუპ პლიუსი“, 404499556.

წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპები

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამოზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები კგუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
შენობა ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ელექტროგადამცემის საშუალებები	8%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
სპეციალური ინსტრუმენტები	20%
1 000 ლარამდე ღირებულების ძრ. საშუალებები	20%

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები.

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები.

სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები.

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი.

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი.

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება.

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი.

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯების აღიარება.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
შრომის ანაზღაურება	533,925	378,359
საიჯარო ქირა	34,894	5,000
საბანკო ხარჯი	9,044	10,132
ცვეთა და ამორტიზაცია	6,591	6,085
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,320	895
სხვა საერთო ხარჯი	28,214	22,695
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	613,988	423,167

6. წმინდა ზარალი/(მოგება) კურსთა შორის სხვაობით

კურსთა შორის სხვაობები	2023	2022
დადებითი საკურსო სხვაობა	32,098	128,312
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(123,574)	(90,042)
წმინდა ზარალი/(მოგება) კურსთა შორის სხვაობიდან	(91,476)	38,269

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული საღაროში	11,876	8,874	-
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	74,206	45,787	31,681
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	112,474	85,255	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	198,557	139,916	31,681

8. გაცემული სესხები

სესხის მიმღები	2023	2022	2021
შპს ნიუ გრუპ	364,815	181,567	-
შპს ნიუ გრუპ ქავთარაძე	203,590	75,000	-
შპს სამეფო მშენებლობა	171,000	148,000	-
შპს ნიუ გრუპ პლიუსი	54,595	-	-
შპს ქართული პროდუქტები	28,000	-	-
შპს ნიუ გრუპ ვაკე	12,900	-	-
შპს შატო ბაგრატიონი	-	8,500	-
შპს ტრეიდიנג პალას	6,724	-	-
სილ მიღებული სესხები	841,624	413,067	-
დარიცხული პროცენტი	7,798	4,406	-
სილ მიღებული სესხები	849,422	417,473	-

9. მარაგები

მარაგები	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
დაუმთავრებელი წარმოება	7,227,261	2,708,297	-
ნედლეული და მასალები	287,993	112,248	-
სხვა მარაგები	48,442	3,766	-
სულ მარაგები	7,515,253	2,820,545	-

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2021	-	17,503	-	17,503
შეძენა	1,365,491	672	89,061	1,455,224
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	1,365,491	18,175	89,061	1,472,727
შეძენა	-	6,618	-	6,618
ჩამოწერა	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	1,365,491	24,793	89,061	1,479,345
ცვეთა				
ბალანსი 31.12.2021	-	(1,203)	-	(1,203)
დამატება	-	-	(5,195)	(5,195)
შემცირება	-	313	-	313
ბალანსი 31.12.2022	-	(890)	(5,195)	(6,085)
დამატება	-	(1,396)	(5,195)	(6,591)
შემცირება	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2023	-	(2,286)	(10,390)	(12,677)
საბალანსო ღირებულება				
ბალანსი 31.12.2021	-	16,300	-	16,300
ბალანსი 31.12.2022	1,365,491	17,285	83,866	1,466,642
ბალანსი 31.12.2023	1,365,491	22,507	78,671	1,466,669

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიღებული ავანსები	7,121,970	1,978,990	-
სავაჭრო ვალდებულება	234,899	-	-
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	11,985	24,746	568
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,368,853	2,003,736	568

12. სესხები

სესხის გამცემი	2023	2022	
სს პროგრედიტ ბანკი	3,439,512	2,333,492	-
შპს ქალაქის გული 1	20,150	-	-
შპს თეთრი ქალაქი	268,940	-	-
სულ გადასახდელი ძირი	3,728,603	2,333,492	-
დარიცხული პროცენტი	-	2,746	-
სილ მიღებული სესხები	3,728,603	2,336,238	-

13. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

14. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

შპს „სპექტრი“
 მოგება-ზარალის ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი		17,045	84,373
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(16,848)	(65,480)
სულ შემოსავლები		196	18,893
მიწოდების ხარჯები		(17,147)	(22,573)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(613,988)	(423,167)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		3,399	1,369,897
წმინდა საკუთსო სხვაობა	6	(91,476)	38,269
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(49,286)	(37,540)
მოგება დაბეგრამდე		(768,107)	962,673
მოგების გადასახადი		-	(2,866)
წმინდა მოგება		(768,107)	959,807


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს


 დირექტორი
 ლაშა ბაგრატიონი

შპს „სპექტრი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	შენიშვნა	2023	2022	2021
ფული და ფულის ექვივალენტები	7	198,557	139,916	31,681
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		46,228	47,238	-
მიღებული ავანსები		230,244	101,068	-
საგადასახადო აქტივები		961,039	329,831	1,150
გაცემული სესხები	8	849,422	417,473	-
მარაგები	9	7,563,696	2,824,311	-
ძირითადი საშუალებები	10	1,466,669	1,466,642	16,300
სულ აქტივები		11,315,854	5,326,479	49,131
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		455,028	455,028	-
გაუნაწილებელი მოგება		(236,629)	531,477	48,563
სულ კაპიტალი		218,398	986,505	48,563
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	7,368,853	2,003,736	568
მიღებული სესხები	12	3,728,603	2,336,238	-
სულ ვალდებულებები		11,097,456	4,339,974	568
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,315,854	5,326,479	49,131


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს


დირექტორი
ლაშა ბაგრატიონი

შპს „სპექტრი“
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერ 2021	-	48,563	48,563
სულ წლის სრული შემოსავალი	-	959,807	959,807
დივიდენდის გაცემა	-	(476,893)	(476,893)
კაპიტალის ზრდა	455,028	-	455,028
ბალანსი 31 დეკემბერ 2022	455,028	531,477	986,505
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(768,107)	(768,107)
ბალანსი 31 დეკემბერ 2023	455,028	(236,629)	218,398

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს


დირექტორი
ლაშა ბაგრატიონი

შპს „სპექტრი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

(თანხები მოცემული ლარში)

	2023	2022
მოგება მოგების გადასახადის მერე	(768,107)	959,807
ცვეთა და ამორტიზაცია	6,591	6,085
ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	91,476	(38,269)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(670,039)	927,623
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებები:		
სავაჭო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)	1,010	(47,238)
მიღებული ავანსების ზრდა/(შემცირება)	(129,176)	(101,068)
მარაგების ზრდა/(შემცირება)	(4,739,385)	(2,824,311)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა/(შემცირება)	(631,207)	(328,681)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	5,365,118	2,003,168
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(803,680)	(370,507)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ზრდა	(6,618)	(1,456,427)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	-	455,028
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,618)	(1,001,400)
სესხების აღება/გადახდა	1,300,888	2,336,238
გაცემული სესხების ზრდა/(შემცირება)	(431,949)	(379,204)
დივიდენდის გაცემა	-	(476,893)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	868,939	1,480,141
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	58,642	108,234
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	139,915	31,681
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	198,557	139,915

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 30 სექტემბერს



დირექტორი

ლაშა ბაგრატიონი